



საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
განათლების ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრის დირექტორის
ბრძანება



MES 7 20 0000971850



09/10/2020

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონის აღმწერებთან პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის, პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების სწავლის შედეგების შესაბამისობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) კვალიფიკაციების განვითარების სამსახურის უფროსის 2020 წლის 30 სექტემბრის №914147 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონის აღმწერებთან პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის, პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების სწავლის შედეგების შესაბამისობის განსაზღვრის მეთოდოლოგია ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „პროფესიული მომზადების პროგრამისა ან/და პროფესიული გადამზადების პროგრამის სწავლის შედეგების ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან შესაბამისობის დადგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ ცენტრის დირექტორის 2019 წლის 22 აპრილის N291/ი ბრძანება.
3. დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახურს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
კახაბერ ერაძე

